

# მოსამართლის როლი საპროცესო შეთანხმების დადებისას



მურადი შუბითიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი,

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მურადი შუბითიძე

17 ივნისი 2021 წელი

## აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში ეძღვნება მოსამართლის როლი საპროცესო შეთანხმების დადების მომენტში. სადაც განხილულია საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის გადაწყვეტისას მოსამართლის უფლებამოსილებები, მისი ჩართულობის მნიშვნელობა, სამართლებრივი ხარვეზები და მისი აღმოფხვრის გზები, საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქმედი პრაქტიკა და საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის შედარებითი ანალიზი საზღვარგარეთის მოდელებთან.

მოსამართლის როლი საპროცესო შეთანხმებების დადებისას, მნიშვნელოვანია, რადგან ისაა ერთადერთი მიუკერძოებელი და ნეიტრალური არბიტრი საქმის განხილვის მომენტში. საპროცესო შეთანხმებით საქმის დასრულების მაჩვენებელი, საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დანერგვიდან დღემდე ძლიან მაღალია. შესაბამისად მნიშვნელოვანია მოსამართლის მაღალი ჩართულობა იმის ფონზე, რომ არ ხდება მტკიცებულებათა არსებითი გამოკვლევა.

კვლევის ფარგლებში გამოვიყენე ხარისხობრივი, აღწერილობით/მიმოხილვითი და შედარებით სამართლებრივი კვლების მეთოდებით. რომლითაც დადგინა, რომ მოსამართლის როლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საპროცესო შეთანხმების დადების დროს, გასაზრდელია მოსამართლის უფლებამოსილებები იმ ნაწილში, რომ მან შეძლოს საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის განხილვისას საკმარის მტკიცებულებათა არასაკმარისობის მოტივით შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა, უსამართლო და უკანონო სასჯელის შემთხვევაში თავად შეეძლოს სასჯელის განსაზღვრა. ასევე, გასაზრდელია საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საკმარისი სტანდარტი.

საკვანძო სიტყვები: საპროცესო შეთანხმება, მოსამართლე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, სამართლიანი სასჯელი, განაჩენის დასაბუთების სტანდარტი.

## Abstract

This work aims to be considered the role of the Judge at the Plea Bargain process. At this work will also be considered the Justice Power at the decision of Plea Bargain mediation process, his/her importance, the deficiency of law and about preclude ways. This work will also describe Georgian Justice practical examples and compare them to the Courts abroad.

The Justice Power is the most important because of his/her position at the Plea Bargain moment like being impartial and independence. Nowadays the index of the Plea Bargain in the Georgia is higher from this day when this process has started. According to these facts it is important to interpolate the judge in this process because of the essential research for the assertions.

In the research process I have used different research methods such as: qualitative/conceptual and comparatively judicial methods. I have ascertained that Justice Power is the most important because of his/her position at the Plea Bargain moment, therefore Justice Power needs to growth until the role when the Judge would stop penal action when the assertions are insufficient and to define independently penalty when punishment is illicit and unjust. At this moment, would be brought up at the decision of Plea Bargain mediation process sufficient standard of the conviction.

Key words: Plea Bargain, the Judge, Penal action, Fair punishment, Conviction.